ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძღვრის გული„

26 - 31 დეკემბერი 2013 წელი №24 № 8058 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

პოლკოვნიკის დაბადების დღე გვ3.

გილოცავთ შობა–ახალ წელს!

სოფელ ხოვლეში გზის აღდგენითი სამუშაოები დაიწყო გვ3.

აღაიანის ტერიტორიულ ორგანოში გვ3.



მცრახები პორტრეტისათვის ანუ მასწავლებლის მთავარი ჯილდო გვ4.

80 წელი თქვენც გვილოცეთ!

გამოიწერეთ „ახალი განთიადი„!

სოქველმოქმედი ვქცია გვ5.

“ჩოლის გათეთრებით”? ანუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ჭირები ... გვ5.

საახალწლო შეხვედრებში გვ4

ჩოლის “ცვლის ცხენებს ბელი მდევარი”?! გვ6.

შოკოლადის მსოფლიო ფიპ–მეგზეუმში გვ7.

გილოცავთ ახალ 2014 წელს!

ჩემო ძვირფასო
ჯასპის რაიონის მოქალაქეებო!

მინდა მოგილოცოთ დამდეგი ახალი 2014 წელი და გისურვოთ ყველა საახალწლო ნაყვრის ასრულება! ყველა თქვენგანის ოჯახში დამყვიდრდეს სიხარული და ბედნიერება, ჯანმრთელობა, მშვიდობა, წარმატებები! ხვავი და ბარაქა ნუ მოჭულებოდეს თქვენს ოჯახებს!

მრავალ ბედნიერ შობა-ახალ წელს დაგასწროთ უფალმა თავისუფალ და ერთიან საქართველოში.

კასპის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში.

ჩემო თანამოქალაქეებო, სულითა და გულით გილოცავთ შობა-ახალი წლის დღესასწაულს. ბედნიერი ახალი წელი მობრძანებულიყოს ჩვენს საამშობლოში, საქართველოს გაძლიერებისა და განმტკიცების წელი უოფილიყოს ახალი 2014 წელი.

ძვირფასო მეგობრებო, გისურვებთ ბედნიერებას, წარსულს, სიყვარულს და სიხარულს, გამრავლებას, გაძლიერებას. ქართველი ჯაცი ხომ იმედითა და ყვარილი სურვილებით ეგებება ყოველ ახალ წელს, ჰოდა, ეს იმედი და ნუგეში ნუ მოგიშალოთ ღმერთმა.

იხარეთ, იდღეგრძელეთ ჩემო მეგობრებო!

ავთანდილ გიგიაშვილი, ჯასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ბაღინებო და ქალბაღინებო!

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

მჯერა, რომ ახალი 2014 წელი ჩვენი საამშობლოსათვის უფალლდღეობის და წარმატების მომტანი იქნება.

ოთოთეული თქვენგანის ოჯახს ვუსურვებ ხვავსა და ბარაქას!

იდღეგრძელეთ, მრავალჟამიერ!



კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებელი.

ბაღინებო და ქალბაღინებო, გულითადად გილოცავთ შობა-ახალი წლის დღესასწაულს. ვისურვებდი, რომ ახალ 2014 წელს მოეტანოს სიმშვიდე, მხნეობა და სიმტკიცე. ხვავი და ბარაქა ნუ მოჭულებოდეს თქვენს ოჯახებს, დაგილოცავთ ფუძესა და ჭერს, გისურვებთ ბედნიერებას, სიხარულსა და სიყვარულს, ჯანმრთელობას.

❄ **ხათუნა თათანაშვილი, ❄ ❄ ❄

პოლკოვნიკის დაბადების დღე

20 დეკემბერს, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ხანდაკში, ეროვნული გვარდიის კასპის ბატალიონის პირველი მეთაურის, ტარიელ შარიფაშვილის დაბადების დღე აღინიშნა.

პოლკოვნიკი ტარიელ შარიფაშვილი, ეროვნული გვარდიის კასპის ბატალიონის პირველი მეთაური, შემდგომ საპატიო მეთაური და კასპის რაიონის გამგებელი - 1993 წლის 25 სექტემბერს, სოხუმის დაცვისათვის გმირულად დაიღუპა აფხაზეთში.

პოლკოვნიკის მშობლიურ სოფელში მისი საფლავი მოინახულეს და გვირგვინით შეამკეს გვარდიის გენერალმა თამაზ დუმბაძემ, პოლკოვნიკმა რევაზ ჯიჯეიშვილმა, მაიორმა გიორგი ფავლენიშვილმა. მათთან ერთად იმყოფებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა გოჩიტაშვილი, მისი მოადგილე ჯამბოლატ ქამხაძე, ეროვნული გვარდ-

იის კასპის ბატალიონის ყოფილი მებრძოლები და მეგობრები. ტარიელ შარიფაშვილის თანამებრძოლებმა გაიხსენეს ომის მძიმე დღეები და ტარიელის გმირული საბრძოლო ეპიზოდები. საქართველოს პრეზიდენტმა პოლკოვნიკი, სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასალის სახელობის ორდენით დააჯილდოვა. სასახელო მამულიშვილის სახელი ეწოდა მშობლიური სოფლის ზემო ხანდაკის საჯარო სკოლას, რომლის ეზოშიც დგას მისი ბიუსტი (ავტორი დავით ნავროზაშვილი).

ტარიელ შარიფაშვილის ქალიშვილს - თამარ შარიფაშვილს, რომელიც მამის გარდაცვალებიდან 8 თვის შემდეგ დაიბადა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამშრომლების სახელით საჩუქრად კომპიუტერი გადასცა.

დალი კორკომაშვილი.

სოფელ ხოვლეში გზის აღდგენითი სამუშაოები დაიწყო

კასპის მუნიციპალიტეტში გრძელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები. დაწყებულია პროექტის – "სოფელ ზემო ხანდაკისა და ხოვლის ჩათვლით ცენტრალური გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები". სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერ-

ში გამარჯვებული შპს "ბილდ ინდრუსტი" ახორციელებს.

მიმდინარე სამუშაოები კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, მისმა მოადგილემ ჯამბოლატ ქამხაძემ, კასპის მაჟორიტარი დეპუტატის, დავით ონოფრიშვილის ბიუროს ხელმძღვანელმა თემურ ხაბაძემ და ქალაქ კასპის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ალექსანდრე გზირიშვილმა დაათვალიერეს. ამჟამად მოსამზადებელი პროცესია დაწყებული. კერძოდ, მაგისტრალის აღდგენა და დამაგრების სამუშაოები მიმდინარეობს, ანუ არსებული ა/ბეტონის საფარის მოხსნა ფრეზის საშუალებით. პროექტი ითვალისწინებს საგზაო სამოსის, გზის გადამკვეთი წყალგამტარი მილების მოწყობასა და გაწმენდას. ასფალტის საფარის დაცვის მიზნით მოეწყობა სანიაღვრე და დამაკავ-

შირებელი არხები. გაკეთდება პორტატული კედელი, წყალმიმღები ცხაურები, ეზოში შესასვლელები, დაიგება ასფალტის საფარი და მოეწყობა საგზაო ნიშნები.

სოფელ ხოვლეში მისასვლელი გზა წლებია ამორტიზებულია, გაჩენილი ორმოები საავარიო სიტუაციებს ქმნიდა. სოფლის მისასვლელი გზის სრული აღდგენისათვის, საქართველოს მთავრობამ ცენტრალური ბიუჯეტიდან თანხა გამოყო. პროექტის რეალიზაციაზე 2 119 800 ლარი დაიხარჯება, - აღნიშნა გოჩა გოჩიტაშვილმა.



"სოფლის მხარდაჭერი"-ს პროგრამის ფარგლებში, სოფელ აღაიანის ტერიტორიულ ორგანოში შემავალ სოფლებში (აღაიანი, საქადაგიანო, ხიდისყური) 2013 წელს, სოფლის საერთო კრებაზე მოსახლეობის გადაწყვეტილებით - 6 პროექტის განხორციელება დაიგეგმა. სოფელ აღაიანში წლების განმავლობაში არ ფუნქციონირებდა საბავშვო ბაღი. შენობის რეაბილიტაცია შ.პ.ს. "მშენკომპლექსმა" უზრუნველყო: დამონტაჟდა მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა, შეიცვალა ელექტრო ჩამრთველ-ამომრთველები, შეიღება კედლები, იატაკზე დაიგო ლამინატი და შეკეთდა სველი წერტილი.

აღაიანის ტერიტორიულ ორგანოში

სოფელ საქადაგიანოში მოსახლეობის სასმელი წყლით მომამარაგების მიზნით, შეძენილია და დამონტაჟებულია სასმელი წყლის ფურცლოვანი ფოლადის 15 და 20-ტონიანი ავზები. სოფელში შემოიღობა სასაფლაო, დასრულდა სარიტუალო სახლი და შეძენილი იქნა სარიტუალო მომსახურებისათვის ინვენტარი.

სოფელ ხიდისყურში შ.პ.ს. "მშენკომპლექსი"-ს მიერ გაგრძელდა სარიტუალო დარბაზის მშენებლობა. აღნიშნული სამუშაოებისათვის 60 757 ლარი დაიხარჯა. "სოფლის მხარდაჭერი"-ს პროგრამის ფარგლებში ჩატარებულმა სამუშაოებმა მოსახლეობას პრობლემები გარკვეულწილად შეუმცირა.

მწერალი პოეტისთვის
ანუ მასწავლებლის მთავარი ჯილდო



— მახსოვს, წლების წინ, თბილისში, ერთ-ერთ გაჩერებასთან ვიცდიდით და თან მშვიდად ვმუსაიფობდით მე და ჩემი თანმხლები, — გვიყვება ხათუნა პარკაძე, — ჩვენს შორიახლოს, შუახანს-მიტანებული, სანდომიანი სახის მანდილოსანი შეჩერდა და ჩვენს საუბარს უგდებდა ყურს. მერე, მოწიწებით მოგვიახლოვდა, გამოგველაპარაკა: რატომღაც მგონია, რომ კასპელები ხართ, თქვენი საუბრის კილო ნაცნობია, იქაურებსაც ახლოს ვიცნობო, არ მავიწყდება ჩემთვის უძვირფასესი ადამიანი, უბადლო პედაგოგი თენგიზ პარკაძეო...

თქვენ წარმოიდგინეთ, ამ სიტყვების გაგონებაზე როგორ გავთამამდებოდი, ცოტა არ იყოს გულიც ამიჩუყდა და ახლადგაცნობილ ქალბატონს სიამაყით მივუგე, რომ თენგიზ პარკაძე ჩემი მამამთილია და ის მართლაც დასაფასებელი, პატივსაცემი ადამიანია მეთქი...

დიახ, ასეა ყოველთვის, დამსახურებისა და გაწეული ამაგისათვის, კარგი ადამიანი შინაურსაც ესახელება და ცხრამთასიქით წასულსაც ახსოვს...

მრავალი თაობის აღმზრდელსა და დამკვალიანებელს, დამსახურებულ მასწავლებელს კარგად იცნობენ კასპელები და არა მხოლოდ ისინი. პედაგოგიური მოღვაწეობა მან სამოციან წლებში დაიწყო, მანამდე წარჩინებით დაამთავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტი და უმაღლესდამთავრებულმა ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელმა პირველად ლამისყანის საშუალო სკოლაში სცადა ბედი, მერე იყო კასპის სკოლა-ინტერნატში მუშაობის ათი წელი, ახლაც ნათლად ახსოვს იქ გატარებული შემოქმედებითი შრომის, ძიების წარუშლელი და გაუხუნარი ხანა, კოლეგებთან, სკოლა- ინტერნატის სახელგანთქმულ მესვეურებთან ხანგრძლივი და კოლეგიალური ურთიერთობა... ამის შემდეგ თენგიზ პარკაძე სახალხო განათლების რაიონული განყოფილების სასკოლო ინსპექტორად დააწინაურეს, მოგვიანებით კი, ქალაქის მესამე საშუალო სკოლას დირექტორობდა.

სამოცდაათიანი წლების ბოლოს კასპში პოპულარულ სასწავლებლად ითვლებოდა კასპის ინდუსტრიული ტექნიკუმი. ვინ მოთვლის, რამდენი თაობა აღიზარდა მის კედლებში, თანაც, ტექნიკუმის კურსდამთავრებულები სპეციალობით ჩვენს ქალაქშივე შოულობდნენ სამსახურს (ცემენტის ქარხანა, "კასპიელექტროაპარატი" და კიდევ რამდენიმე სამრეწველო საწარმო) და სწორედ იმ პერიოდში მოუხდა ტექნიკუმში მოღვაწეობა თენგიზ პარკაძეს. მთელი ოცი წლის განმავლობაში, პენსიაზე გასვლამდე იყო ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. ბევრ მის ნამოწაფარს ნათლად ახსოვს დირექტორის მოადგილის უშურველი ამაგი და დახმარება. იგი მარტო მოსწავლეებს კი არა, მათ მშობლებსაც გვერდში ედგა.

თენგიზ პარკაძეს ნაყოფიერი, ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, რომელთა შორის ერთ-ერთი განსაკუთრებულია საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდება. თუმცა, თავად ღვაწლმოსილი პედაგოგი თენგიზ პარკაძე ყველაზე დიდ ჯილდოდ და აღიარებად აღზრდილებისა და კოლეგების პატივისცემასა და სიყვარულს მიიჩნევს, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე გრძნობს. ერთგულ პედაგოგს, ავტორიტეტულ კოლეგას დღესაც ჭკუას ეკითხებიან, ითვალისწინებენ მის რჩევებს, დარიგებას, აი, სწორედ ეს არის მასწავლებლის მთავარი ჯილდო და დამსახურება.

საახალწლო შეხვედრები

საახალწლო კონცერტი, რომელსაც პირობითად ერქვა "დევი და ახალი წელი", ანშლაგით ჩატარდა ჩვენი ქალაქის კულტურის სახლში. მაყურებელთა უმრავლესობა, რა თქმა უნდა, ბავშვები იყვნენ, მაგრამ მათთან ერთად უფროსებმაც კარგად იხალისეს...

სცენაზე, ლამაზად მორთულ ნაძვის ხესთან თავი მოიყარეს ბავშვების

საყვარელი ზღაპრების გმირებმა "ფიფქიამ" (სალომე მუხიგულაშვილი), ოჩოპინტრემ (შალვა ხუციშვილი), დევმა (ბექა ბეჟიტაშვილი)... რასაკვირველია, ბავშვებს სიყვარულით მიესალმა თოვლის პაპა (მერაბ მერებაშვილი). საახალწლო სიმღერები შეასრულეს თაკო მასიკაშვილმა, თათია ხორგუაშვილმა, ხატია მამულაშვილმა, საინტერესო იყო დების ნინო და მარიამ ტყემალაძეების დუეტი. ცეკვა "ქართულით" აპლოდისმენტები დაიმსახურეს ქორეოგრაფიული ანსამბლის, "რკონის" მექართულეებმა სალომე ადუაშვილმა და ბექა ბაქაქურმა...

კონცერტის ბოლოს შეკრებილ საზოგადოებასა და კონცერტის მონაწილეებს მიესალმა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე.

*,,ახალი გზა,,
იძიებს ცხინვალში ცოცხალ ადამიანებს ერთგზელ ოთხ-მეტიანებს შეცვლილა.
თხოვნით მივმართავთ თანამოაზრეებს - ლაფოვით თქვენი ყველა ჩვენს მეტიანეში!
გამოგვიგზავნეთ ცხინვალიდან ლა ცხალიცა ოთხოები!*

საქველმოქმედო აქცია

მესამე თვეა, კასპის ახალგაზრდული თვითმმართველობა ქალაქს საინტერესო და საჭირო ღონისძიებების ორგანიზატორად მოევლინა. ასე იყო ამჯერადაც. 12 დეკემბერს კასპის კულტურის ცენტრ "ჰარმონია"-ში, კასპში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასახმარებელი საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა, რომლის ინიციატორიც და ორგანიზატორიც (მამუკა პაპაშვილი, გიორგი ბერიანიძე, კაკი სამნიაშვილი, რატი თათხაშვილი, უტა დემეტრაშვილი, ზურა საჩალელი, ნათია ილურიძე, ლიკა გალუსტაშვილი, სალომე მუხიგულაშვილი და ნინო პაპიაშვილი) კვლავ კასპის ახალგაზრდული თვითმმართველობა იყო.

კონცერტში კასპელი თვითმოქმედი კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები მონაწილეობდნენ. ღონისძიება ახალგაზრდული თვითმმართველობის მიერ შექმნილი საინტერესო ვიდეორგოლით დაიწყო, კონცერტი კი ანსამბლ "მოურავი"-ს "მრავალჟამიერით." შემდეგ ხათუნა ხაჩიძემ, დეა ბეჟიტაშვილმა, თათა ხორგუაშვილმა და სალომე მასიკაშვილმა იმღერეს. ცეკვა "მთიულურით" (ანსამბლი "გორგასალი"), ცეკვა "ლაზური"-თ (ნინო ხურო-

ხელი შევუწყოთ იმ ინფრასტრუქტურის განვითარებას, რომელიც მათ უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფს, პირადად მიგულეთ თქვენს გვერდით - აღნიშნა თავის გამოსვლაში, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა და მადლობა გადაუხადა საღამოს ინიციატორებს. საქველმოქმედო კონცერტისათვის კასპის ახალგაზრდულ თვითმმართველობას, მადლობა არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანი, კანონი და თავისუფლება"-ს დამფუძნებელმა გიორგი ჭულუხ-

შვილი და სალომე მუხიგულაშვილი) და ცეკვა "მთიულთა როკვით" (მარიამ და ნინო გიგილაშვილები, გივი კობაური და ნიკა გალუსტაშვილი) მიესალმნენ მოცეკვავეები დარბაზში მყოფ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და მაყურებლებს.

ჩვენი ვალია თანადგომა და მხარდაჭერა გამოვუცხადოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ვიზრუნოთ საზოგადოებაში მათ ინტეგრაციაზე.

იქემაც გადაუხადა. ღონისძიება დასრულდა ვიდეორგოლით, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კასპელი დავით პარკაძე მიმართავს მათ, ვისაც უჭირთ საზოგადოებაში გამოსვლა - გამბედაობა გამოიჩინონ, გამოვიდნენ ერთხელ მაინც გარეთ და მისი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, შემდგომ უკვე მოთხოვნილებად გადაექცევათ.

კასპის ახალგაზრდული თვითმმართველობა შემოსულ თანხას, ამჯერად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 15 პირს გადასცემს. საღამო მიჰყავდა ტელეკომპანია "იმედი"-ს კონკურს - "ცეკვავენ ვარსკვლავები"-ს გამარჯვებულს სამორი ბალდეს, რომელმაც გადატვირთული დღის რეჟიმის მიუხედავად, თანხმობა განაცხადა უსასყიდლოდ წაეყვანა 12 დეკემბრის ღონისძიება.

დალი კორკომაშვილი.

"როლის გათეთრდებით"? ანუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ...

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით, 2013 წელი საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის წლად არის გამოცხადებული, მეც შეძლებისდაგვარად შევეცდები ინფორმაცია მოგაწოდოთ მათ შესახებ...

დავიწყებ იმით, რომ ეს თემა ყოველთვის მაინტერესებდა და ხშირად ვკითხულობდი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესახებ, ინტერნეტსა თუ სხვა სამეცნიერო ლიტერატურაში... ჩემი ინტერესი გამძაფრდა მაშინ, როდესაც ჩავაბარე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და უფრო მეტი გავიგე მათ შესახებ... ყველაზე მეტად კი გამახარა იმ ფაქტმა, რომ მეც შემიძლია მათი დახმარება... როგორც მომავალ სოციალურ მუშაკს...

როდესაც ზემოთ ხსენებულ თემაზე ვიწყებთ საუბარს, ჯერ კარგად უნდა გავითავისოთ მისი განმარტება. ტერმინი "შეზღუდული უნარის" განსაზღვრება არც თუ დიდი ხნის წინ განმარტა აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ. ეს მოხდა 1990 წელს. ეს არის დაზიანება, რომელიც ზღუდავს ადამიანის ერთ ან მეტ (რამდენიმე) სასიცოცხლო ფუნქციას. ტერმინი მოიცავს ჯანმრთელობის მდგომარეობის ფართო სპექტრს, ზომიერიდან მწვავე დარღვევებამდე, რომლებიც თვალნათელია (მაგ. სიბრმავე, სიყრუე, გონებრივი ჩამორჩენილობა, მოძრაობის შეზღუდვა). შშმპ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების აღნიშვნა. შეზღუდული შესაძლებლობები შეიძლება იყოს: ფიზიკური, გონებრივი, ემოციური და მგრძნობიარე.

ადამიანი შეიძლება დაბადებისთანავე ასეთი გაჩნდეს ან რაიმე შემთხვევის შემდეგ გახდეს უნარშეზღუდული.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის უახლესი მონაცემების მიხედვით მსოფლიოში დაახლოებით 600 მილიონი შეზღუდული უნარის მქონე ადამიანია, აქედან 80% ცხოვრობს დაბალ შემოსავლიან ქვეყნებში. მათი უმრავლესობა ღარიბია და შესაბამისად მათთვის ხელმისაწვდომი არ არის ძირითადი სერვისები, რეაბილიტაციის, განათლების და დასაქმებისათვის. სწორედ ამის გამო, მათი მონაწილეობა თემსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეუძლებელი ხდება.

ბოლო დროს ხშირად გვესმის, რომ სახელმწიფო უამრავ რამეს აკეთებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასახმარებლად, რათა მათ გაუადვილდეთ საზოგადოებაში ინტეგრაცია. რეალურად ეს ასე ნამდვილად არაა, თუმცა სიტუაცია ადრინდელთან შედარებით, რა თქმა უნდა, გაუმჯობესდა.

დიდ პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო დაწესებულებები, რადგან მათი უმეტესობა დღემდე არ არის ადაპტირებული ... შენობებს არა აქვს პანდუსები, შესაბამისი ლიფტი, ადგილზე აუცილებლად ვიღაცამ უნდა მიგიყვანოს და უკან წამოგიყვანოს, ეს კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უკარგავს მთავარს – დამოუკიდებლობის განცდას, რაც მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

მაგრამ მთავარი პრობლემა მაინც უკვე საავადმყოფოში მისულებს ხვდებათ: ექიმების მხრიდან მიდგომა ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი ადამიანის მიმართ, როცა მათ რაიმე ასტკივდებათ... არადა ტრავმირებული ადამიანის მკურნალობის დროს გასათვალისწინებელია ბევრი სხვა ნიუანსიც. ამის უცოდინარობა ხშირად ექიმებს სასაცილო მდგომარეობაში აგდებს... ამას ემატება ისიც, რომ სარეაბილიტაციო კურსის გავლას საზღვარგარეთ მხოლოდ ის შშმ პირები ახერხებენ, ვისაც ამის ფინანსური შესაძლებლობა აქვს.

საქართველოში, სხვა ბევრი ქვეყნის მსგავსად, არაა ყველა ის პირობა შექმნილი, რომელიც საჭიროა შშმ პირებისათვის: არც სპეციალისტები გვყავს, არც გადამზადების კურსები. ზოგადად ცოდნის ნაკლებობაა, როგორ უნდა მოემსახურონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს... მოკლედ, ის პროგრამები რაც დღეს არსებობს, არასაკმარისია. ამას მოწმობს ისიც, რომ ქვეყანაში არ არის რეაბილიტაციის და აბილიტაციის ცენტრები. ამ ყველაფრის ფონზე კი წინსვლა ნამდვილად არ გვექნება...

ჩემი აზრით, პირველ რიგში სახელმწიფომ უნდა იზრუნოს შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციაზე და ისევ სახელმწიფომ უნდა მოახერხოს, რომ ხალხმა მიიღოს ისინი, როგორც ჩვეულებრივი ადამიანები... ჩვენ გვგონია, რომ მათი რიცხვი მცირეა, რადგან ქუჩაში ხშირად არ გვხვდებიან. იმას კი არ ვფიქრობთ, რომ ელემენტარული პირობები არ არის იმისათვის, რომ ისინი უპრობლემოდ გამოვიდნენ სახლიდან სხვის დაუხმარებლად.

არსებობს 2006 წლის გაეროს მიერ მიღებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენცია – შეცვლილი მიდგომა შშმ პირების მიმართ. კონვენცია ამბობს, რომ მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას, ისარგებლონ ჯანმრთელობის დაცვის მაქსიმალურად მისაღწევი სტანდარტებით, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. სამწუხაროდ საქართველოში ჯერ არ არის მიღებული კანონი კონვენციის რატიფიცირების შესახებ. ვიცით მხოლოდ, რომ დოკუმენტი პარლამენტიდან ჯანდაცვის სამინისტროს დაუბრუნდა.

ყველაზე დიდი პრობლემა ალბათ მაინც ის არის, რომ საზოგადოებამ შშმ პირები უნდა მიიღოს ჩვეულებრივ ადამიანებად. არ შეიძლება ადამიანის დისკრიმინაცია მხოლოდ იმიტომ, რომ მას რაიმე უნარი აქვს შეზღუდული. შშმ პირებმა არც ერთი დღე არ უნდა დაკარგონ იმის ფიქრში, რომ მე რაღაც ძველ მდგომარეობას სანამ არ დავუბრუნდები მანამ საზოგადოება არ მიმიღებს. მათი მდგომარეობის შემსუბუქება ჩვენ შეგვიძლია. თუკი მათ ვაგრძნობინებთ, რომ ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რა თქმა უნდა, სტიმული მიეცემათ რაღაცის კეთების და შეეცდებიან თავიანთი საუკეთესო მხარეები დაგვანახვონ... აქვე მინდა გავამახვილო ყურადღება კითხვაზე: "როდის გამოჯანმრთელდები?".. ეს მართლაც რომ შეურაცხმყოფელია. წარმოიდგინეთ ხართ მუქკანიანი და ყოველდღე გეკითხებიან: როდის გათეთრდებით?... ანალოგიური შემთხვევაა. ამიტომ შშმ პირებთან კონტაქტის დროს თითოეულ სიტყვას კარგად უნდა დავუფიქრდეთ, რათა მათ მდგომარეობა უარესად არ დავუმძიმოთ...

და ბოლოს: არსებობს ორგანიზაცია "ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის", რომლის თავმჯდომარეა გიორგი ახმეტელი, რომელიც თავის მეგობრებთან ერთად იბრძვის სხვა შშმ პირების უფლებების დასაცავად, იბრძვის მათი გარეთ გამოსვლისთვის, მათი საზოგადოებაში დაბრუნებისთვის... ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია შეუერთდეს ამ ორგანიზაციას და მათთან ერთად შეეცადოს საქართველოში მდგომარეობა მივიდეს იქამდე, რომ შშმ პირებთან მეგობრობა, მათ მიმართ სიყვარული, მათთან ერთად სკოლაში, უნივერსიტეტში, სამსახურში სიარული აღარ წარმოადგენდეს გადაუჭრელ პრობლემას...

მარიამ ბერიანიძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

გვილოცავენ თანაქალაქელები

ჩემო თანაქალაქელებო, სულითა და გულით გილოცავთ ახალი 2014 წლის მობრძანებას, დაე, ეს წელი ყოფილიყოს ჩვენი ქვეყნის გაძლიერების, გამრავლების წელი. მშვიდობა, წარმატება, სიკეთე და ბარაქა დაგბედებოდეთ, დაგილოცავთ ოჯახებს, გისურვებთ ბედნიერებას, სიყვარულითა და უანგაროდ გვეკეთებინოს საქვეყნო და სასარგებლო საქმე, რა თქმა უნდა, ჩვენს მონაგართან ერთად.

უშანგი მოსიაშვილი, ს/ს "კასპიელექტროაპარატის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

კასპის რაიონის საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების თითოეულ თანამშრომელს, ყველას, ვინც მომავალი თაობის აღზრდა-განათლებას ემსახურება, ვულოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ოჯახში ულევ სიხარულსა და ბედნიერებას, პროფესიულ წინსვლას, ქვეყანაში მშვიდობასა და კეთილდღეობას. 2014 წელი ყოფილიყოს ყველასათვის ბედნიერების მომტანი.

გიული სოზიაშვილი, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

ბატონებო და ქალბატონებო, გილოცავთ შობა-ახალი წლის დღესასწაულს, სიხარული, სიკეთე და ბედნიერება დაგბედებოდეთ ამ ახალ წელს. გისურვებთ ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე მთავარს, ჯანმრთელობას და მხნეობას, ერთმანეთის სიყვარულსა და გვერდში დგომას.

მამუკა ბერიძე, კლინიკა "მარიმედის" დირექტორი.

გვილოცავენ თანაქალაქელები



რიდის "იცვლის ცხენებს ბედი მდევარი"?!

აი, კიდევ ერთი ახალი წელი, სამანი ძველსა და ახალს შორის, საზღვარი - სადაც ტრადიციულად "ბედი მდევარი იცვლის ცხენებს." მკითხველთა განსწავლულ ნაწილს აუცილებლად ახსენდება ილიას "რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!" უფრო განსწავლულს "ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერი?" უფრო განსწავლულნიც არსებობენ; ისინი კი იმიტომ არიან ძალიან განსწავლულნი, რომ მათი აზრთა მსვლელობა არც ისე ადვილად საცნობი იყოს.

და არიან ისეთებიც, ვისთვისაც გაზეთი "წერე-იკითხეების" თავშეყრის ადგილია, ნასწავლი და განათლებული ადამიანები კი არ უყვარს და მორჩა. რატომ? იმიტომ რომ დედამ თავის დროზე არ წააკითხა "პატარა უფლისწული," "ტომ სოიერის თავგადასავალი," "სამი მუშკეტერი" ... ეს უკანასკნელი "კინოდ ნახა," გაერთო, მაგრამ ძალიანაც არ აღფრთოვანდა, ვერ გაიგო რითი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან მუშკეტერები, ან რატომ სამი მუშკეტერი და დარტანიანი? დარტანიანიც ხომ მუშკეტერი იყო? ...

და მერე რა რომ ვერ გაიგო, მერე რა რომ ღმერთმა დაიფარა წიგნებისგან, ცოდნისგან და განათლებისგან, სამაგიეროდ ძალიან კარგად ისწავლა მღვრიე წყალში თევზის ჭერა. ამ უნარის წყალობით სახლიც აიშენა და კარიც დაიმშვენა ... ბევრ ახალ წელს შეხვდა და კიდევ შეხვდება, როგორ? ეს სხვა საუბრის თემაა.

ცოტა ხნის წინათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მავნებელი წიგნების სია გამოქვეყნდა, რომელიც ცნობილი მეცნიერებისა და პოლიტიკოსების გამოკითხვის შედეგად შეადგინეს. სიაში სულ ათი წიგნია. მოდით, მათი ჩამოთვლა ბოლოდან დავიწყოთ.

მაშ ასე, მეათე ადგილი: "დასაქმების, პროცენტებისა და ფულის საერთო თეორია", რომლის ავტორიც ინგლისელი ჯონ მეინარდ კეინსი გახლავთ. მეცნიერთა უკმაყოფილება წიგნმა იმით დაიმსახურა, რომ პროპაგანდას უწევს სახელმწიფოს აქტიურ როლს ქვეყნის ეკონომიკაში.

მეცხრე ადგილი: ფრიდრიხ ნიცშეს "სიკეთისა და ბოროტების მიღმა". წიგნი მშვენიერი წასაკითხია, მაგრამ, სამწუხაროდ, ზეადამიანის პროპაგანდას ეწევა!

მერვე ადგილი: "პოზიტიური ფილოსოფიის კურსი," ავტორი ოგიუსტ კონტი. ეს ფრანგი ვაჟბატონი პოზიტივიზმის ფუძემდებელი გახლავთ. წიგნში ზოგიერთი გარემოება ნამდვილად ბადებს ეჭვს, მაგრამ საერთო განვითარების მისაღებად მისი წაკითხვა მაინც საინტერესოა.

მეშვიდე ადგილი: ამერიკელი ბეტი ფრიდნეის "ქალურობის საიდუმლოება," წიგნი, რომელსაც ფემინიზმის "ბიბლიას" უწოდებენ.

მეექვსე ადგილი: კარლ მარქსის "კაპიტალი". როგორც ცნობილია, ეს ნაშრომი კაპიტალიზმის მავნებლობასა და კომუნიზმის გამარჯვების ეკონომიკურ წინაპირობებზე ღაღადებს.

მეხუთე ადგილი: ამერიკელი ჯონ დიუს ნაშრომი "დემოკრატია და განათლება". მისი პოზიცია საკამათოა: წიგნი შავ სიაში აღმოჩნდა, რადგან მეცნიერთა აზრით, რელიგიას და საზოგადოების მიერ მიღებულ მორალს უარყოფს.

მეოთხე ადგილი: ამერიკელი ალფრედ კინსის "მამრი ადამიანის სექსუალური ქცევა." მისი კითხვა გატაცებითაც კი შეიძლება, მაგრამ ამის შემდეგ ნორმალური ადამიანი ველარ იქნებით. წიგნში ამორალური ქცევები და სექსუალური გარყვნილებაა აღწერილი.

მესამე ადგილი: მაო ძე-დუნის ციტატების კრებული, რომელიც ე. წ. კულტურული რევოლუციის პერიოდში ჩაწერილ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ბელადის გამონათქვამებს შეიცავს. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთში ადამიანების უმეტესობას მაოს ბევრი ტექსტი გულუბრყვილოდ თუ პრიმიტიულად, ხშირად სიგიჟედაც მიაჩნია, ჩინეთში ამ წიგნს ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავს და თითოეულმა მათგანმა, სულ ცოტა, ათი ციტატა მაინც იცის ზეპირად.

მეორე ადგილი: ადოლფ ჰიტლერის Mein Kampf ("ჩემი ბრძოლა"). დღეს ამ წიგნს ნაციზმისა და რასობრივი თეორიის "ბიბლიას" უწოდებენ.

პირველი ადგილი: ყველაზე მავნე ავტორებად კი "ექსპერტებმა" კომუნიზმის შემქმნელები კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი მიიჩნიეს, მათი "კომუნისტური პარტიის მანიფესტით."

იმედია, ცოტა ხნის შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სასარგებლო წიგნების სია გამოქვეყნდება, რომელსაც ცნობილი მეცნიერების და პოლიტიკოსების გამოკითხვის შედეგად შეადგენენ.

მანამდე კი, გილოცავთ ახლ წელს, გისურვებთ განათებულ და განათლებულ ცხოვრებას!

საქართველოში აივ–ინფექციაზე გამოკვლევა და მკურნალობა უფასოა!

აივ ინფექცია ვირუსული ინფექციაა, რომელიც აზიანებს ადამიანის იმუნურ სისტემას და ორგანიზმს სხვადასხვა დაავადებისადმი დაუცველს ხდის. გადაცემა ხდება სამი ძირითადი გზით:

1) ინფიცირებული ადამიანის სისხლთან კონტაქტით:

ნახმარი შპრიცის გამოყენება,

სისხლის ან მისი ცალკეული კომპონენტის გადასხმა,

პირსინგი/ტატუირება,

არასტერილური სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენება.

2) სქესობრივი კავშირით (ვაგინალური, ანალური, ორალური).

3) ინფიცირებული დედიდან შვილზე ორსულობის, მშობიარობისას, ან ძუძუთი კვების დროს.

თუ ორსული ჩაიტარებს აივის საწინააღმდეგო მკურნალობას, ასევე თუ მშობიარობა ჩატარდება საკეისრო კვეთით და ჩვილი არ მიიღებს დედის რძეს, ვირუსის ბავშვზე გადაცემის რისკი მინიმალურია.

დროულად დაწყებული მკურნალობის შემთხვევაში ინფიცირებულმა პირმა მრავალი წელი შეიძლება იცოცხლოს გართულებისა და შიდსის თანმხლები დაავადებების გარეშე.

აივ–ინფექცია არ გადაეცემა:

კოცნით,

ჩახუტებით,

ხელის ჩამორთმევით,

კოღოს კბენით,

საყოფაცხოვრებო კონტაქტებით.

სქესობრივი გზით აივ ინფიცირების თავიდან ასაცილებლად:

იყავით ერთგული, მხოლოდ ერთი სქესობრივი პარტნიორის ყოლა

მინიმუმამდე ამცირებს დაინფიცირების რისკს;

გამოიყენეთ პრეზერვატივი ყველა შემთხვევითი სქესობრივი კავშირისას.

დღეს არსებული მედიკამენტებით აივ ინფექციის სრული განკურნება შეუძლებელია, მაგრამ მათი დახმარებით აივ ინფექციის იმუნოდეფიციტის ფაზაში გადასვლის პროცესი მნიშვნელოვნად ხანგრძლივდება. ამის გამო შესაძლებელია ითქვას, რომ აივ ინფექცია გახდა ქრონიკული, მართვადი დაავადება.

დროულად დასმული დიაგნოზი განაპირობებს მკურნალობის დროულად დაწყებას და დაავადების გავრცელების შეფერხებას.

საფრანგეთი, ქალაქი ჟესპოლსეიმი, შოკოლადის საიდუმლოების მუზეუმი
(Musee Les Secrets DU Chocolat in Geispolsheim)

იგი შედგება რამდენიმე თემატური დარბაზისგან: ამფითეატრი, შოკოლადის ისტორიის განყოფილება, სადაც შეიძლება ნახოთ შოკოლადის ექსპოზიციები. იქ საკუთარი თვალით იხილავთ, თუ როგორ მზადდება შოკოლადის შედევრები, ხოლო ჩაის ოთახში დააგემოვნებთ ამ საკვირველ სასუსნავს და შეიცნობთ ნამდვილი შოკოლადის გემოს. რა თქმა უნდა, საჩუქრების მაღაზიაში შეგიძლიათ შეიძინოთ უგემრიელესი და ორიგინალურად გაფორმებული შოკოლადის სუვენირები.

შოკოლადის მუზეუმი გერმანიაში – კიოლნში - შოკოლადის რაიხსტაგი

გემის მსგავსი ეს მუზეუმი მდინარე რეინის სანაპიროზე მდებარეობს. აქ ნახავთ, თუ როგორ მზადდება ტრადიციული საახლგომო კურდღლები ან სანტა-კლაუსები... შეგიძლიათ შეიხედოთ მინი-შოკოლადის ფაბრიკაში, სადაც ყოველდღიურად 400კგ პროდუქცია მზადდება. მუზეუმის განსაკუთრებულ სანახაობას წარმოადგენს 3 მეტრიანი შოკოლადის შადრევანი, რომლის სიახლოვეს მდგარი მუზეუმის თანამშრომელი შემოგთავაზებთ ცხელ შოკოლადში ამოვლებულ ხრაშუნა ვაფლს, რათა ისიამოვნოთ და შეაფასოთ ამ სასწაულის ღირსებები.

კანადა, კუნძული ვიქტორია, შოკოლადი პენის საოცარი სამყაროს მუზეუმი
(Pannys Amazing World of Chocolate)

ეს მუზეუმი მდებარეობს შოკოლადის ფაბრიკა ფილიპ აილენდის ტერიტორიაზე, სადაც მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ბელგიური შოკოლადისგან ხელით შექმნილ უგემრიელეს კანფეტებს ამზადებენ.

მუზეუმში საოცარი ექსპონატებია წარმოდგენილი: დავითის შოკოლადის ქანდაკება, იისფერთმიანი ამერიკელი წამყვანის სურათი და, რაც უნდა გაიოცოთ, სოფლები, რომლებიც მთლიანად შოკოლადისგან არის ჩამოსხმული...

შოკოლადის მსოფლიო ტაპ–მუზეუმები

სტუმრებს აქ შეუძლიათ კონდიტერის როლი მოირგონ და შოკოლადის შედევრი საკუთარი დიზაინით შექმნან.

ბელგია, ბრიუგე, შოკოლადის მუზეუმი Choco-Story

საიდუმლოს არ წარმოადგენს რომ ბელგიური შოკოლადი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. სწორედ აქ შექმნეს ხელოვანმა კონდიტერებმა საუკეთესო კანფეტი – პრალინე, რათა ჰერცოგ პლეზი-პრალინესთვის ესიამოვნებინათ.

მუზეუმი მდებარეობს ქალაქ ბრიუგეს XVII ს-ის სასახლეში. აქ ინახება შოკოლადის უძველესი და საუკეთესო შედევრები.

მუზეუმში მოქმედებს ბარი Choc, სადაც სტუმრებს შეუძლიათ დააგემოვნონ 44 სახეობის შოკოლადის კოქტეილი.

ესპანეთი – ბარსელონის შოკოლადის მუზეუმი
(Museu de la Xocolata)

ბარსელონელი კონდიტერების მიერ დედათა ყოფილ მონასტერში დაარსებული ეს მუზეუმი მნახველებს სთავაზობს არა მარტო საინტერესო ფაქტებს შოკოლადის ისტორიიდან, არამედ შოკოლადისგან დამზადებული ქანდაკებების დათვალიერებასაც. აქ ნახავთ ხელოვნების, სპორტისა და პოლიტიკის ცნობილი მოღვაწეების ქანდაკებებს; ასევე მულტფილმების სასაცილო პერსონაჟებს და ცნობილი შენობების მინი-მოდელებს. ბარსელონის მუზეუმის ექსპონატები ყოველ აღდგომას განახლდება ხოლმე, რადგან სწორედ ამ დროს ტარდება კონდიტერების ყოველწლიური კონკურსი – **„მონა"** საუკეთესო შოკოლადის სკულპტურის დასამზადებლად.

შოკოლადის მუზეუმი პრაღაში **Choco-Stor** გასული წლის შემოდგომას ჩეხეთის დედაქალაქის ცენტრში, რესპუბლიკის მოედანზე, ბელგიის ქალაქ ბრიუგეს შოკოლადის მუზეუმის ფილიალი **Choco-Story** გაიხსნა. სწორედ ამიტომ მუზეუმში წარმოდგენილი შოკოლადი მხოლოდ ბელგიურია. დამთვალიერებლებს არა მარტო ამ უგემრიელესი ნუგბარის დაგემოვნებას სთავაზობენ, არამედ მათ შეუძლიათ მუზეუმში ყოველდღიურად გამართულ მასტერ-კლასში მიიღონ მონაწილეობა და კონდიტერის როლიც მოირგონ. მუზეუმის ღირსშესანიშნაობა არის ის, რომ აქ შეგიძლიათ იხილოთ შოკოლადის კანფეტების შესაფუთი ქაღალდების ანტიკვარული კოლექცია, რომელიც ასწლეულების მანძილზე გროვდებოდა პლანეტის სხვადასხვა ადგილიდან.

შოკოლადის მუზეუმი კუნძულ ჩეჯუდოზე – სამხრეთ კორეაში

ციხე-სიმაგრეს მოგაგონებთ. მუზეუმში წარმოდგენილია უამრავი ფორმისა და ზომის შოკოლადი მსოფლიოს ყველა კუთხიდან. მთავარი ექსპონატი XIX საუკუნის სტილში შექმნილი, შოკოლადის მოძრავი ტრამვაი გახლავთ, რასაც აღფრთოვანებაში მოჰყავს არა მარტო ბავშვები, არამედ მოზრდილი მნახველებიც. აქ თქვენ შეგიძლიათ გემო გაუსინჯოთ უგემრიელეს შოკოლადს – მანგოს, მწვანე ჩაის, ან თუნდაც ჟენშენის არომატით.

ნესტლეს შოკოლადის მუზეუმი მეხიკოს საქვეყნოდ ცნობილი საკონდიტრო ფაბრიკის "ნესტლეს" უჩვეულო დიზაინის მუზეუმი სტუმართა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. ის რეკორდულად მოკლე დროში, 75 დღეში აშენდა. დარბაზების უმეტესობა მთლიანად თეთრ ფერშია გადაწყვეტილი. გამონაკლისია „თეატრი" იატაკის მწვანე საფარით, რომელსაც მაცდუნებელი, შოკოლადის ფილებისგან დამზადებული დასაჯდომები აქვს. აქ მუზეუმის დამთვალიერებლები შოკოლადის ისტორიულ გზასაც ეცნობიან.

ჯადოქარი, "ურჩხული და მზეთუნახავი"

არ ვიცი, რამდენად მართალია, რომ უფლისწულები ყოველთვის აღნაგი ტანითა და მშვენიერი სახით გამოირჩევიან, მაგრამ მათ ყველა ზღაპარში აღწერენ, როგორც მომხიბლავ ჭაბუკებს. თუმცა, ოდესღაც არსებობდა პრინცი, რომელიც უნაკლო გარეგნობისა იყო, მაგრამ არც ისე ხელგაშლილი და შემწყნარებელი.

თუ არ იცოდით, გეტყვით რა ემართებათ უფლისწულებს, რომლებიც საშინელი ავდრის დროს მოხუც და ავადმყოფ ქალს სასახლეში არ შეიფარებენ: აღმოჩნდება, რომ ეს დედაბერი მშვენიერი ჯადოქარი ქალია და ის აუცილებლად მრავალწლიან წყევლას და ჯადოს დაადებს უფლისწულს, იმის გამო, რომ იგი ადამიანებში მარტო გარეგნობას და სინორჩეს აქცევს ყურადღებას. პრინცი ურჩხულის სხეულში იქნება გამოკეტილი, სანამ მას ვინმე გოგონა არ შეიყვარებს.

ამ ისტორიის მიხედვით გადაიღეს დისნეის ანიმატორებმა მულტფილმი "ურჩხული და მზეთუნახავი". მასში ბევრი საყვარელი და სასაცილო პერსონაჟია – მონადირე გასტონით დაწყებული, რომელსაც ფეხზე სუნიანი ბოტები აცვია, მოლაპარაკე ფინჯნებით, საათით, შანდალით და ჩაიდნით დამთავრებული. რაც მთავარია, არაჩვეულებრივი და მშვენიერი გოგონა ბელი, რომელსაც ძალიან უყვარს კითხვა, სწორედ ის ადამიანია, რომელიც შეძლებს ურჩხულთან დამეგობრებას.

ამ მულტფილმში ძალიან სასიამოვნო მუსიკა ისმის, ყველა გმირი მღერის, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება უფრო მეტად საშიშ და უზარმაზარ ციხესიმაგრეში ხდება. ვაღიარებ, ამ ანიმაციის ყურებისას შეიძლება ოდნავ შეგეშინდეს კიდევაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა ურჩხული არც ისე თავაზიანად იქცევა. მაგრამ არ დაგავიწყდეს, ის მშვენიერი უფლისწული იყო და წარმოიდგინე, როგორი გაბრაზებულია ჯადოქარზე.

მიუხედავად ყველაფრისა, ურჩხული ცდილობს გულისხმიერი და კეთილი იყოს და მზეთუნახავი ბელის მოწონება დაიმსახუროს. მისთვის მეჯლისსაც კი გამართავს. ალბათ გაინტერესებთ რა მოხდება. შეძლებს თუ არა ურჩხული ჯადოსგან გათავისუფლებას და ბედნიერი პრინცივით ცხოვრებას. მე დამავიწყდა მულტფილმის ფინალში რა ხდება, ამიტომ, ახლიდან უნდა ვუყურო. თქვენც იმავეს გირჩევთ.

ეკლესია გილოცავთ დამდეგ
შობა–ახალ წელს!

მცოცავი თოვლის პაპა

სანტა კლაუსი - აშშ, კანადა,
ფადერ ქრისმას - father christmas
გაერთიანებული სამეფო,
აგიოს ვასილის - საბერძნეთი,
ბაბო ნატალე - იტალია
პაპა ნოელ - ესპანეთი
პაი ნატალ - პორტუგალია
იულინისენ - ნორვეგია
ნიკოლაუს - გერმანია
პეღ ნოელ - საფრანგეთი
იოულუპუკი - ფინეთი
იულტომტენ - შვედეთი
მიკულაშ - უნგრეთი
ეჟიშეკ - სლოვაკეთი
სვეტი მიკოლაი - პოლონეთი
იოულუვანა - ესტონეთი
დედა გრიზ - ბოსნია
შახტა ბაბა - აზერბაიჯანი
გაგანტ ბაბა - სომხეთი
ბაბა ჩაღალოო - ავღანეთი
იონგ გია ნიო-ენ - ვიეტნამი
გუუსალეს - ერაყი
ბაბა ნოელ- ირანი.

“ყველას” გილოცავთ ახალ წელს!

ხსოვნა
ლევან ძამუკაშვილი



ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენგან წახვედი ლევან და დაგვიტოვე უსაშველო სევდა და ტკივილი.

წუთისოფელში, მართლაც წუთის სიცოცხლე გქონია შვილო, თუმცა ლამაზი და სახელოვანი სიცოცხლე. შენ ხომ კარატეში შავი ქამრის მფლობელი გახდი.

არ ვიცით, რა შეიძლება ვუწოდოთ ამას – უეცარი გარდაცვალება თუ სულის მოულოდნელი ამოფრქვევა სხეულიდან, ის კი ვიცით, რომ მოუშუშებელი ტკივილი დაგვიტოვე გულში ყველას, ვისთვისაც შენი უეცარი სიკვდილის ამბავი მეხის გავარდნასავით გაისმა. შოკი და კიდევ, უსუსურობის განცდა, საშინელებაა, როდესაც ხვდები, რომ არ შეგიძლია შეცვალო რეალობა, რომელმაც ერთ წუთში წაგართვა საყვარელი ადამიანი, ხელიდან გამოგვაცალა კიდევ ერთი სიცოცხლე და გადააბარა მარადისობას.

ძნელი წარმოსადგენია, რომ უსაშველო ტკივილად და მონატრებად იქეცი ლევან.

შეუძლებელია ეს ტკივილი ოდესმე მოშუშდეს. შენისთანები ასე ნაადრევად არ უნდა ტოვებდნენ ამქვეყნიურ ცხოვრებას, რადგან შენ ყველასათვის საამაყო და უსაყვარლესი ადამიანი იყავი.

შვილო ლევან, შენ სასუფეველში ხარ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. თბილი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა, ჩვენ ვიცით, შენ ხარ იქ “სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე”.

ოჯახი.

გვმოგვიხმაურეთ!

,,ახალი გვნთავლი,,
იძიებს ცვინფერიცა
ცოცხალთიებს რეალობაც ცვგვზეთი ოთოფო-მეფ-
ანაც შეცვალოვლ.
თხოვნით მიგმართავთ თანარეალიზიელებს -
ლაფოვეთ თქვენი ყველა ჩვენს მეფიანიში!
გვმოგვიგზავნეთ ცვინფერიცა ლა
ცხალიცა თოფოები!

გ ი ნ დ ა თ თვალი ადევნოთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?
გ ი ნ დ ა თ, გაეცნოთ სინფერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებიდან?
გ ი ნ დ ა თ, გაიგოთ ერისკაცთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების ჰერსპექტივაზე?

გვმოიწერეთ “ახალი გვნთავლი” ლა გაგლეთ ჩვენი მეითხველი!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,კოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერეგაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. ქასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76